I. ისტორია

I – ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

- **ინსტრუქცია დავალებისათვის – „ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი“ –** თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელი სახელმწიფოს მეფე იყო ტიგლათფილესერ I?

ა. ურარტუს;
ბ. ხეთების;
გ. ასურეთის;
დ. მითანის.

2. რომელ ძველ ბერძენ გეოგრაფს/სწავლულს ეკუთვნის ცნობა ქართლის სამეფოს მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შესახებ?

ა. ჰეროდოტეს;
ბ. პოლიბიოსს;
გ. თუკიდიდეს;
დ. სტრაბონს.

3. ვინ იყო მირიან მეფის თანამედროვე რომის იმპერატორი?

ა. ტრაიანე;
ბ. ადრიანე;
გ. თეოდოსიუსი;
დ. კონსტანტინე.

4. რომელმა მეფემ დააარსა ქალაქი არტანუჯი, რომელიც აშოტ ბაგრატიონმა აღადგინა და თავის რეზიდენციად აქცია?

ა. ფარნავაზმა;
ბ. ვახტანგ გორგასალმა;
გ. ფარსმან ქველმა;
დ. გურგენმა.

5. რომელი სახელმწიფოები ებრძოდნენ ერთმანეთს VI საუკუნეში ლაზიკის ტერიტორიაზე „დიდი ომიანობის“ დროს?

ა. ბიზანტია და სასანიანთა სახელმწიფო;
ბ. რომის იმპერია და პართია;
გ. ბიზანტია და აქემენიდების იმპერია;
დ. რომის იმპერია და სეფიანთა ირანი.

6. ვისი ლაშქრობის შემდეგ გაჩნდა საქართველოში ამირას თანამდებობა?

ა. მურვან-ყრუს;
ბ. ბუდა თურქის;
გ. აბულ კასიმის;
დ. აბუ-ბექრის.

7. რომელ ქვეყანაში შეიქმნა XIII საუკუნეში „თავისუფლების დიდი ქარტია“?

ა. საფრანგეთში;
ბ. ესპანეთში;
გ. გერმანიაში;
დ. ინგლისში.

8. რომელმა ქართველმა მეფემ მიიღო რომის პაპისაგან, ჰონორიუს III-გან მოწვევა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად?

ა. დავით IV-მ;
ბ. დემეტრე I-მა;
გ. თამარმა;
დ. გიორგი IV-მ.

9. ვის სახელს უკავშირდება XVI საუკუნეში ევროპაში რეფორმაციის დაწყება?

ა. მარტინ ლუთერის;
ბ. იმპერატორ კარლ V-ის;
გ. პაპ ინოკენტი III-ის;
დ. ჰენრი VIII-ის.

10. რომელ წელს შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები?

ა. 1709;
ბ. 1735;
გ. 1776;
დ. 1799.

11. საფრანგეთის რომელ მეფეს შეხვდა სულხან-საბა ორბელიანი?

ა. ანრი III-ს;
ბ. ლუი XIII-ს;
გ. ანრი IV-ს;
დ. ლუი XIV-ს.

12. ვინ იყო ერთა ლიგის შექმნის ინიციატორი?

ა. ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი;
ბ. საფრანგეთის პრეზიდენტი კლემანსო;
გ. ინგლისის პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი;
დ. გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II.

13. რას ეწოდება დემოკრატია?

ა. ხალხის ძალაუფლებას;
ბ. უმცირესობის ძალაუფლებას;
გ. უმრავლესობის ძალაუფლებას;
დ. მმართველი ფენის ძალაუფლებას.

II – დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით

- **ინსტრუქცია დავალებისათვის – „დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ)“** – პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მეოთხე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება მაქსიმუმ 3 ქულით ფასდება.

(3) 14. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ) ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს მომხდარი მოვლენები:

1. კლარჯეთის შემოერთება ქართლის სამეფოსთვის;
2. საეკლესიო რეფორმის გატარება და კათოლიკოსობის დაწესება ქართლში;
3. აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ;
4. ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში.

(3) 15. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ) XI საუკუნეში მომხდარი მოვლენები:

1. მანასკერტის ბრძოლა;
2. სელჩუკთა მიერ ბაღდადის აღება;
3. „დიდი თურქობა“;
4. ალფ-არსლანის პირველი ლაშქრობა საქართველოში.

(3) 16. დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ) ნაპოლეონის დროს მომხდარი მოვლენები:

1. აუსტერლიცის ბრძოლა;
2. ლაიფციგის ბრძოლა;
3. სამხედრო ექსპედიცია ეგვიპტეში;
4. ლაშქრობა რუსეთში.

III – ისტორიული წყაროს ანალიზი

- **ინსტრუქცია დავალებისათვის – „ისტორიული წყაროს ანალიზი“ -** ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა – 12.

17. სალიკური სამართალი[1]

(1 ის პირი, რომელიც მოიპარავს სამ ან მეტ ღორს, 35 სოლიდით[2] დაჯარიმდება, ამაში არ შედის მოპარულის ღირებულება და ზარალის ანაზღაურება.

(2 თუ პირი მოიპარავს ხარს ან ძროხას ხბოსთან ერთად, 35 სოლიდით დაჯარიმდება.

(3 თუ პირი მოიპარავს ან მოკლავს მაძებარ, გაწვრთნილ ძაღლს, 15 სოლიდით დაჯარიმდება.

(4 თუ პირი მოიპარავს ფუტკრის ერთ სკას სასახლიდან და მხილებულ იქნება დანაშაულში, 45 სოლიდით დაჯარიმდება.

(5 თუ პირი მოიპარავს მონას, ცხენს ან სხვა შინაურ ცხოველს, 30 სოლიდით დაჯარიმდება.

(6 თუ პირი სხვისი ყანიდან მოიპარავს სელს და ცხენით ან ურმით წაიღებს, 15 სოლიდით დაჯარიმდება, თუ არ ჩავთვლით მოპარულის ღირებულებას და ზარალის ანაზღაურებას.

(7 თუ პირი წისქვილში სხვის პურს მოიპარავს, მეწისქვილეს 15 სოლიდს გადაუხდის, ხოლო პურის მფლობელს ასევე 15 სოლიდს უხდის.

(8 თუ პირი თავისუფალ გოგონას მოკლავს, 300 სოლიდით დაჯარიმდება, ხოლო თუ ბიჭს მოკლავს - 600 სოლიდით.

---

[1] “სალიკური სამართალი” სალიელი ფრანკების მიერ V-VI სს-ის მიჯნაზეა შექმნილი.
[2] სოლიდი – ოქროს მონეტა.

(9 თუ პირი მოკლავს გრაფს, 600 სოლიდით დაჯარიმდება.

(10 თუ პირი გადაწვავს სხვის სახლს დამხმარე შენობებითურთ, 63 სოლიდს გადაიხდის.

(11 მიწაზე საკუთრება არცერთ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს მემკვიდრეობით ქალს, მთელი მიწა მამაკაცს უნდა ერგოს.

<u>კითხვები</u>:

(1) 17.1. მოცემულ დოკუმენტზე დაყრდნობით, მაქსიმალურად დეტალურად ჩამოთვალეთ მესაქონლეობის რომელი კონკრეტული დარგები იყო განვითარებული ფრანკებში?

(1) 17.2. მოცემულ დოკუმენტზე დაყრდნობით, მესაქონლეობის გარდა, მეურნეობის რომელი დარგები იყო განვითარებული ფრანკებში?

(3) 17.3. მოცემულ დოკუმენტზე დაყრდნობით, კიდევ რა ტიპის ეკონომიკურ საქმიანობას ეწეოდნენ ფრანკები?

(2) 17.4. მოცემულ დოკუმენტზე დაყრდნობით, რა სახის უთანასწორობა არსებობდა ფრანკთა სამეფოში? პასუხი აუცილებლად დაასაბუთეთ არგუმენტით.

(3) 17.5. მოცემულ დოკუმნეტზე დაყრდნობით, რომელი სოციალური ფენები არსებობდა ფრანკთა სამეფოში?

(1) 17.6. მოცემული დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნულ სამართალში ადამიანის დასჯის რა სახის მექანიზმია გამოყენებული?

(1) 17.7. თქვენი აზრით, რატომ არ ითვალისწინებს სალიკური სამართალი ადამიანის სიკვდილით დასჯას?

IV – ისტორიული რუკა

- **ინსტრუქცია დავალებისათვის – „ისტორიული რუკა“ -** დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. რუკაზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უპასუხეთ დავალებაში დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა – 11.

18. **დაკვირვებით შეისწავლეთ მოცემული რუკა და უპასუხეთ შეკითხვებს.**

კითხვები:

(4) 18.1. მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, მაქსიმალურად ზუსტად, კონკრეტულად და თანმიმდევრულად აღწერეთ რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის პროცესი.

(2) 18.2. მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, აღწერეთ რუსეთის მიერ ქართული სამეფოების დაპყრობის პროცესი.

(3) 18.3. მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, დაასახელეთ საქართველოს რომელი ისტორიული კუთხეები წაართვა პირველად რუსეთმა ოსმალეთს და როდის?

(2) 18.4. მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, დაასახელეთ საქართველოს მინიმუმ ორი ისტორიული კუთხე, რომელიც რუსეთმა 1878 წელს დაიკავა.



1801 — რუსეთის მიერ ქართული სამეფოების გაუქმების თარიღი

1859 — რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხების დამორჩილების თარიღი

რუსეთის მიერ ოსმალეთთან 1828-1829 წ.წ. ომის შემდეგ დაკავებული ტერიტორია

რუსეთის მიერ, ოსმალეთთან 1877-1878 წ.წ. ომის შემდეგ დაკავებული ტერიტორია

რუსეთის მიერ XIX ს-ის I მესამედში დაკავებული ქართული სამეფო-სამთავროების ტერიტორია

რუსეთის იმპერიის ტერიტორია 1801 წლისთვის

რუსეთის მიერ ირანთან 1804-1813 წ.წ. ომის შემდეგ დაკავებული ტერიტორია

რუსეთის მიერ ირანთან 1826-1828 წ.წ. ომის შემდეგ დაკავებული ტერიტორია

V. შეცდომის აღმოჩენა

- **ინსტრუქცია დავალებისათვის – „შეცდომის აღმოჩენა“ -** ყურადღებით შეისწავლეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და რუკა და იპოვეთ მათში დაშვებული შეცდომები. პასუხები ჩაწერეთ ცხრილში, რომელიც განთავსებულია პახუხების ფურცელში. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება არა მარტო თქვენს მიერ ნაპოვნი შეცდომა, არამედ შეცდომა და მისი გამოსწორებული ვარიანტი. დავალების მაქსიმალური ქულაა – 8.

19. ყურადღებით გაეცანით ტექსტსა და რუკას და აღმოაჩინეთ შეცდომები.

II მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, 1942 წლის 28 ნოემბერს – 1 დეკემბერს ირანის დედაქალაქ ისპაჰანში სამი ქვეყნის - რუსეთის, აშშ-ის და გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა ჩატარდა. ამ დროს ერთმანეთს პირველად შეხვდნენ სტალინი, ტრუმენი და ჩერჩილი. მათ გადაწყვიტეს, რომ მოკავშირეები, აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს ძალებით, ჩრდილოეთ საფრანგეთში, კერძოდ, ბურგუნდიაში შეჭრას მოახდენდნენ.

1944 წლის 6 ივნისს დაიწყო სამხედრო ოპერაცია, სახელწოდებით „ოვერლორდი“. მოკავშირეთა ჯარებმა პლაცდარმის დაკავება მოახერხეს და ნელ-ნელა წინ წაწევა დაიწყეს. გერმანული სამხედრო ნაწილები იძულებულნი იყვნენ მძიმე თავდაცვითი ბრძოლები ეწარმოებინათ. ამავე დროს, აგვისტოში საფრანგეთის დედაქალაქში აჯანყება დაიწყო.


ოპერაცია „ოვერლორდი“
ბალტიკისპირეთი
საბჭოთა
გიბრალტარის სრუტე
ბისკაის ყურე
ამსტერდამი
როტერდამი
ანტვერპენი
ბრიუსელი
ბელგია
ლიონი
ფრანკფურტი
ბერლინი
ჰამბურგი
ლაიპციგი
დრეზდენი
ჩეხოსლოვაკია
გერმანია
სტრასბურგი
მიუნხენი
ბაზელი
ბერნი
ავსტრია
შვეიცარია
ფრანგეთი
ბორდო
ტულუზა
პარიზი
ციურიხი
ჟენევა
იტალია
მილანი
ტურინი
გენუა
გენეცია
მარსელი
ტულონი
პორტუგალია
მოკავშირეთა მიერ I ეტაპზე დასაკავებელი პლაცდარმი
მოკავშირეთა მიერ II ეტაპზე დასაკავებელი პლაცდარმი
მოკავშირეთა სამხედრო შენაერთები
მოკავშირეთა შეტევის მიმართულება I ეტაპზე
გერმანელთა სამხედრო შენაერთები
ნიდერლანდები
დედაქალაქი
ქალაქი
სახელმწიფო საზღვარი
0 50 100 150
A B C D E
1 2 3 4

ისტორია

დავალება №1 – გ

დავალება №2 - დ

დავალება №3 - დ

დავალება №4 - ბ

დავალება №5 - ა

დავალება №6 - ა

დავალება №7 - დ

დავალება №8 - დ

დავალება №9 - ა

დავალება №10 - გ

დავალება №11 – დ

დავალება №12 - ა

დავალება №13 – ა

დავალება №14	4; 1; 2; 3	მაქსიმალური ქულაა - 3
დავალება №15	2; 4; 1; 3	მაქსიმალური ქულაა - 3
დავალება №16	**3**; **1**; **4**; **2**	მაქსიმალური ქულაა - 3

დავალება № 17.1	მეძროხეობა	მაქსიმალური ქულაა - 1
დავალება № 17.2	მეღორეობა, მეფუტკრეობა, მემინდვრეობა//სელის მოყვანა, მემარცვლეობა//ხორბლის მოყვანა.	მაქსიმალური ქულაა - 1
დავალება № 17.3	მშენებლობა, ხელოსნობა, ვაჭრობა, ფულის მოჭრა, ნადირობა.	მაქსიმალური ქულაა - 3
დავალება № 17.4	სოციალური – მუხლები №5, 8, 9 გენდერული//სქესობრივი – მუხლები №8, 11	მაქსიმალური ქულაა - 2
დავალება № 17.5	მონა//დამონებული//არათავისუფალი თავისუფალი დიდებული// გაბატონებული	მაქსიმალური ქულაა - 3
დავალება № 17.6	ეკონომიკური//ფინანსური//ფულადი	მაქსიმალური ქულაა - 1
დავალება № 17.7	ნებისმიერი ლოგიკური არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას	მაქსიმალური ქულაა - 1

დავალება № 18.1	1801 წლისათვის რუსეთს დაპყრობილი აქვს ყაბარდო, დაღესტანი 1801 წლისათვის რუსეთს დაპყრობილი ოსეთი 1859 წელს დაიპყრო ჩეჩნეთი 1864 წელს დაიპყრო ადიღე	მაქსიმალური ქულაა 4
დავალება № 18.2	1801 წელს დაიპყრო ქართლ-კახეთი 1810 წელს დაიპყრო იმერეთი	მაქსიმალური ქულაა 2
დავალება № 18.3	სამცხე ჯავახეთი 1829 წელს	მაქსიმალური ქულაა 3
დავალება № 18.4	აჭარა, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, კოლა, არტაანი დასახელებული უნდა იყოს ნებისმიერი ორი	მაქსიმალური ქულაა 2

დავალება №19

შ ე ც დ ო მ ა	ს წ ო რ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ი
1942	1943
ისპაჰანი	თეირანი
რუსეთი	სსრკ
ტრუმენი	რუზველტი
ბურგუნდია	ნორმანდია
ლიონი	პარიზი
გიბრალტარი	ლა-მანში
პორტუგალია	ესპანეთი